

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბათუმის მილი“

პოლიეთილენის ნარჩენების გადამამუშავებელი (ნარჩენების
აღდგენის) და პოლიეთილენის წყლის მილების წარმოების საამქრო

(ქალაქი ბათუმი, ორბელიანი/მელიქიშვილის ქუჩა #5/104, ს/კ 05.26.28.045)

სკრინინგის ანგარიში

სარჩევი

შესავალი	2
1. ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შესახებ	4
1.1 საწარმოს განთავსების ადგილმდებარეობა	4
1.2 საკანონმდებლო საფუძველი	6
2. ტექნოლოგიური პროცესის აღწერა	8
3. წყლის გამოყენება და ჩამდინარე წყლები	16
4 საკანალიზაციო წყლების მართვა	17
5. ნარჩენების წარმოქმნა და მისი განკარგვა	17
6. გარემოზე შესაძლო ზემოქმედება საწარმოს ექსპლოატაციის პროცესში	18
6.1 ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე	18
6.2 ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება	26
6.3 ზემოქმედება ნიადაგის და გრუნტის ხარისხზე	27
6.4 ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე	28
6.5 ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე	29
6.6 სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება და ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე	29
6.7 ზემოქმედება ჰარბტენიან ტერიტორიებზე	30
6.8 ტრანსსასაზღვო ზემოქმედება	30
6.9 მისასვლელი გზები	30
6.10 ნარჩენების წარმოქმნით და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება	31
6.11 ზემოქმედება ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიაზე	32
6.12 კუმულაციური ზემოქმედება	32
6.13 ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადებზე	32
6.14 შესაძლო ავარიული სიტუაციები	33
7. დანართები	35
დანართი 1. ამონაწერი საწარმოო რეესტრიდან	35
დანართი 2. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან	36
დანართი 3. საკადასტრო ნახაზი	37
დანართი 4. მიწისპირა კონცენტრაციების გაფრქვევის ანგარიში	38

შესავალი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბათუმის მილი“-ს, ქალაქი ბათუმში, ორბელიანი/მელიქიშვილის ქუჩა #5/104, მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 05.26.28.045, გააჩნია პოლიეთილენის წყლის მილების წარმოების საამქრო, რომელზედაც გააჩნია აჭარის ა.რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სქვეუწყებო დაწესებულება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიერ შეთანხმებული „ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროებისა და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში“.

საწარმოს განთავსების ტერიტორიის GPS კოორდინატებია: X=219915.00; Y=4614230.00:

უახლოესი დასახლებული პუნქტი საწარმოო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაშორებულია 70 მეტრი მანძილით.

აღნიშნული ტერიტორია წარმოადგენს შპს "გიბ-2011", (ID ნომერი:445397188) საკუთრებას და წარმოადგენს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს, რომელზედაც განთავსებულია შენობა, რომლის მთლიანი ფართობია 1424.00 მ² (იხ. საწარმო რეესტრის ამონაწერი) და მისი ნაწილი (640 მ²) იჯარით აქვს აღებული სადაც განთავსებულია პოლიეთილენის მილების წარმოებისათვის საჭირო ორი დანადგარი.

საწარმო პოლიეთილენის წყლის მილების წარმოებისათვის ნედლეულად იყენებს პოლიეთილენის პირველად გრანულებს.

საწარმოს წლიური წარმადობაა 672 ტ წელიწადში პროდუქციის გამოშვება.

საწარმოში დაიგეგმა ასევე პოლიეთილენის ნარჩენების (კოდეთ: 07 02 13; 15 01 02) შემოტანა, მისი გადამუშავება (გრანულების მიღება) და მისი ნაწილიდან პოლიეთილენის წყლის მილების წარმოება, ხოლო ნაწილის რეალიზაცია ნედლეულის სახით.

საწარმოში ამჟამად ორი დანადგარია (ორი ხაზი) ფუნქციონირებს, ერთი 120 კგ/სთ წამადობის და მეორე 160 კგ/სთ წარმადობის. ორივე დანადგარების წარმადობა 280 კგ/სთ-ია და მათში პირველადი გრანულების ბაზზაზე ხდება პოლიეთილენის წყლის მილების წარმოება.

პოლიეთილენის ნარჩენების გადამუშავებისათვის საწარმოში იგეგმება შესაბამისი დანადგარების შემოტანა, კერძოდ ნარჩენების დასაქუცმაცებელი წისქვილისა და გრანულატორის მონტაჟი შესაბამისი საჭირო ხაზით (გასარეცხი, საწნეხი, საშრობი).

ვინაიდან, ზემოაღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლი მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი შეფასების ახალი კოდექსის მე-2 დანართის 10.3 პუნქტის თანახმად (ნარჩენების აღდგენა, გარდა არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავებისა) ექვემდებარება სკრინინგის პროცედურების გავლას, აღნიშნულ საქმიანობაზე, სამინისტრო, ამავე კოდექსის მე-7 მუხლით დადგენილი სკრინინგის პროცედურის გავლის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას გზშ-ს საჭიროების შესახებ და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

საამქროში მოხდება საათში 100 კგ პოლიეთილენის ნარჩენის გადამუშავება და წელიწადში 8 საათიანი სამუშაო დღით და წელიწადში 300 სამუშაო დღით, 240 ტონა პოლიეთილენის გრანულის წარმოება და მისი შემდგომ გამოყენება პოლიეთილენის წყლის მილების წარმოებაში, ხოლო დანარჩენ ნედლეულად (432 ტონა) ისევ გამოყენებული იქნება პირველადი პოლიეთილენის გრანულები..

ყოველი ერთი ტონა პოლიეთილენის ნარჩენების გადამუშავებისას გამოყენებული იქნება 3 მ³ წყალი, ანუ წელიწადში 720 მ³ წყალი, რომელის მიწოდება განხორციელდება ქ. ბათუმის წყალმომარაგების სისტემიდან, ხოლო გამოყენების შემდეგ ჩაშვებული იქნება ქ. ბათუმის საკანალიზაციო სისტემაში.

ზოგადი ცნობები საწარმოს შესახებ მოცემულია ცხრილში #1.

ცხრილი 1

ძირითადი მონაცემები საწარმოს საქმიანობის შესახებ

№	მონაცემთა დასახელება	დოკუმენტის შედგენის მომენტისათვის
1.	ობიექტის დასახელება	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბათუმის მილი“
2.	ობიექტის მისამართი: ფაქტიური: იურიდიული:	ქალაქი ბათუმი, ორბელიანი/მელიქიშვილის ქუჩა #5/104, ს/კ 05.26.28.045 საქართველო, ხულო, ს, ლაბაიძეების 1 ჩიხი N 1
3.	საიდენტიფიკაციო კოდი	448054462
4.	GPS კორდინატები	X=219915.00; Y=4614230.00
5.	ობიექტის ხელმძღვანელი: გვარი, სახელი ტელეფონები: ელ. ფოსტა:	გია ბერიძე ტელ: 551 544 444 gia.batumi@yahoo.com
6.	მანძილი ობიექტიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე:	დასახლებული პუნქტი 70 მ.
7.	ეკონომიკური საქმიანობა:	პოლიეთილენის ნარჩენების გადამამუშავება (ნარჩენების აღდგენის) და მისგან პოლიეთილენის წყლის მიღების წარმოება
8.	გამომშვებული პროდუქციის სახეობა	პოლიეთილენის გრანულები და პოლიეთილენის წყლის მიღები
9.	საპროექტო წარმადობა:	0.1 ტ/სთ (240 ტ/წელ) პოლიეთილენის ნარჩენების გადამამუშავება და 672 ტ/წელ პოლიეთილენის წყლის მიღების წარმოება.
10.	მოხმარებული ნედლეულის სახეობები და რაოდენობები:	240 ტ/წელ პოლიეთილენის ნარჩენები და 432 ტ/წელ პოლიეთილენის პირველადი გრანულები.
11.	მოხმარებული საწვავის სახეობები და რაოდენობები:	-
12.	სამუშაო საათების რაოდენობა წელიწადში	2400 საათი
13.	სამუშაო საათების რაოდენობა დღე-ღამეში	8 საათი

1. ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შესახებ

1.1 საწარმოს განთავსების ადგილმდებარეობა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბათუმის მილი“-ს, ქალაქი ბათუმში, ორბელიანი/მელიქიშვილის ქუჩა #5/104, მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 05.26.28.045, გააჩნია პოლიეთილენის წყლის მილების წარმოების საამქრო, რომელზედაც გააჩნია აჭარის ა.რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სექვეუწყებო დაწესებულება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიერ შეთანხმებული „ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროებისა და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში“.

საწარმოს განთავსების ტერიტორიის GPS კოორდინატებია: X=219915.00; Y=4614230.00:

უახლოესი დასახლებული პუნქტი საწარმოდ ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან მდებარეობს აღმოსავლეთით და დაშორებულია 70 მეტრი მანძილით.

აღნიშნული ტერიტორია წარმოადგენს შპს "გიბ-2011", (ID ნომერი:445397188) საკუთრებას და წარმოადგენს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს, რომელზედაც განთავსებულია შენობა, რომლის მთლიანი ფართობია 1424.00 მ² (იხ. საწარმო რეესტრის ამონაწერი) და მისი ნაწილი (640 მ²) იჯარით აქვს აღებული სადაც განთავსებულია პოლიეთილენის მილების წარმოებისათვის საჭირო ორი დანადგარი.

საწარმოდ ტერიტორიის დასავლეთით სამრეწველო ობიექტები (ავეჯის ქარხანა და სხვა სასაწყობო ტერიტორიები);

სამხრეთით სასაწყობო მეურნეობები, პურის საცხობი და სხვა.

ჩრდილოეთით 160 მეტრში ყინულის სასახლე, საპატრულო პოლიცია და სავაჭრო ობიექტები.

საწარმოდ ტერიტორიის უშუალო შემოგარენში განთავსებულია სხვადასხვა სახის სასაწყობო ტერიტორიები.

საწარმოს ტერიტორიის ჩრდილოეთ მხარეს 100 მეტრში გადის სულხან-საბა ორბელიანის ქუჩა, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთით 130 მეტრში პეტრე მელიქიშვილის ქუჩა.

ტერიტორიის სიტუაციური სქემა დაცილების მანძილების დატანით მოცემულია სურათზე 1.1.1.

საწარმოს ტერიტორიის კუთხეთა წვეროების კოორდინატები მოცემულია ცხრილ 1.1.1-ში.

ცხრილი 1.1.1.

#	X	Y
1	2	3
1	219894.94	4614256.88
2	219916.04	4614264.08
3	219934.55	4614205.16
4	219915,95	4614198.87
6	219915.34	4614200.45
7	219912.52	4614199.89

სურათი 1.1.1. სიტუაციური გეგმა



1.2. საკანონმდებლო საფუძველი

სკრინინგის ანგარიში მომზადებულია საქართველოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს შესაბამისად.

პროექტი განეკუთვნება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის 5.1 ქვეპუნქტის შესაბამისად გათვალისწინებულ საქმიანობას (სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება) და შესაბამისად იგი ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი სკრინინგის ანგარიში მომზადებულია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად.

საქმიანობის განმახორციელებლის მიერ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის წარდგენილი სკრინინგის განცხადება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა, უნდა მოიცავდეს:

- მოკლე ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის შესახებ;
- ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლების, განხორციელების ადგილისა და შესაძლო ზემოქმედების ხასიათის შესახებ.

სკრინინგის განცხადების რეგისტრაციიდან 3 დღის ვადაში გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო უზრუნველყოფს ამ განცხადების თავის ოფიციალურ ვებგვერდზე და შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე განთავსებას. საზოგადოებას უფლება აქვს, სკრინინგის განცხადების ვებგვერდსა და საინფორმაციო დაფაზე განთავსებიდან 7 დღის ვადაში, ამ კოდექსის 34-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესით წარუდგინოს სამინისტროს მოსაზრებები და შენიშვნები ამ განცხადებასთან დაკავშირებით. სამინისტრო იხილავს საზოგადოების მიერ წარმოდგენილ მოსაზრებებსა და შენიშვნებს, ხოლო შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, მხედველობაში იღებს მათ სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

სკრინინგის განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 10 დღისა და არაუგვიანეს 15 დღისა სამინისტრო შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გზმ-ს:

- საქმიანობის მახასიათებლები;
- საქმიანობის მასშტაბი;
- არსებულ საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება;
- ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით – წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენება;
- ნარჩენების წარმოქმნა;
- გარემოს დაბინძურება და ხმაური;
- საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი;
- დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი და მისი თავსებადობა;
- ჭარბტენიან ტერიტორიასთან;
- შავი ზღვის სანაპირო ზოლთან;
- ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასთან, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები;
- დაცულ ტერიტორიებთან;
- მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიასთან;

- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან და სხვა ობიექტთან;
- საქმიანობის შესაძლო ზემოქმედების ხასიათი;
- ზემოქმედების ტრანსსასაზღვრო ხასიათი;
- ზემოქმედების შესაძლო ხარისხი და კომპლექსურობა.

თუ სამინისტრო სკრინინგის პროცედურის დასრულების შემდეგ დაადგენს, რომ დაგეგმილი საქმიანობა გზშ-ს არ ექვემდებარება, განმცხადებელი ვალდებულია დაიცვას საქართველოში არსებული გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნები და გარემოსდაცვითი ნორმები.

- სკრინინგის პროცედურის დასრულებიდან 5 დღის ვადაში სამინისტრო უზრუნველყოფს დასაბუთებული სკრინინგის გადაწყვეტილების თავის ოფიციალურ ვებგვერდზე და შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე განთავსებას.

2. ტექნოლოგიური პროცესის აღწერა

შპს „ბათუმის მილი“-ს ბალანსზე რიცხული პოლიეთილენის მილების მწარმოებელი საამქრო ტერიტორიულად განლაგებულია ქალაქი ბათუმში, ორბელიანი/მელიქიშვილის ქუჩა #5/104, მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 05.26.28.045, გააჩნია პოლიეთილენის წყლის მილების წარმოების საამქრო, სადაც ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ორი წყარო გააჩნია, კერძოდ „HTE0322.OER“ ტიპის თურქული წარმოების ორი დანადგარი 160 და 120 კგ/სთ წარმადობით. აქ შიგასავენტილაციო სისტემა არაა, რის გამოც მავნე ნივთიერებები ფანჯრის ღიობებიდან არაორგანიზებულად გაიფრქვევა შენობის გარე პერიმეტრზე.

საწარმოს დანიშნულებაა პოლიეთილენისაგან 20, 25, 32, 40, 50, 63, 75, 90 და 110 მმ-იანი პოლიეთილენის მილების წარმადობა, რისთვისაც საწარმოში გამოიყენება საზღვარგარეთიდან შემოტანილი პოლიპროპილენის მზა ნედლეული გრანულების სახით.




გრანულები (ე.წ.„კროშკა“) იყრება მილების ექსტრუდერის მიმდებ ბუნკერში, საიდანაც მიეწოდება მილების ექსტრუდერს, რომლის წარმადობა 160 კგ/სთ-ია. აქ გრანულების მიწოდება ხდება თანდათანობით, გამომდინარე ტექნოლოგიური რეჟიმიდან.

ექსტრუდერიდან ნედლეული გადადის შემწოვ დანადგარში, საიდანაც იგი გაიწოვება ე.წ. „შნეკში“. აქ კი მიმდინარეობს ნედლეულის გაცხელება თერმორეგულატორებით 200°C-მდე, აქ მასა ხდება ბლანტი და წნევის ქვეშ ფორმირებისათვის გადადის ე.წ. „კალიბრატორში“.



კალიბრატორიდან უკვე ფორმირებული მილი გადადის გამაცივებელ ავზში, სადაც გაგრილებისათვის გამოყენებულია წყალი.



ტექნოლოგიური რეჟიმის ამ კვანძში ხელოვნურად იქმნება ვაკუუმი, რომლის დროსაც მილი ღებულობს საბოლოო ფორმას. უკვე ფორმირებული მილი დამატებითი გაგრილებისათვის (განსაკუთრებით ზაფხულის მაღალი ტემპერატურის პერიოდში) გადადის ანალოგიური ტიპის მეორე დანადგარში.



შემდგომი ტექნოლოგიური რეჟიმია მილის მოძრაობის სტაბილური სიჩქარით რეგულირება, რისთვისაც იგი გაივლის გამქაჩ დანადგარს. აქ სიჩქარის რეგულირებისათვის უკვე გამოყენებულია კომპიუტერული სისტემა. მილის სიჩქარე პირდაპირ დამოკიდებულია მისი კედლის სისქეზე.




შემდგომი ტექნოლოგიური რეჟიმია მილების დაჭრა-დახარისხება, რისთვისაც იგი გაივლის პლანეტარული ტიპის საჭრელ დანადგარს.



დაჭრილი მილები სპეციალური დანადგარით, ეწყობა ერთ შეკრად და იგი გადაეცემა ე.წ. ქუროს (თავის) ფორმირების დანადგარში, სადაც გამოყენებულია მისი თერმული დამუშავების ტექნოლოგია ელექტროენერჯის გამოყენებით.

აქვე ხდება დამჭერის მორგება მილებზე. დამზადებული პროდუქცია გადაიტანება საწარმოებში მისი შემდგომი ტრანსპორტირების და რეალიზაციისათვის.




საწარმოში დანერგილია მთლიანად უნარჩენო ტექნოლოგიური რეჟიმი.

ობიექტზე დაცულია ყველა სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, ცატარებულია პროექტით გათვალისწინებული ტერიტორიის კეთილმოწყობისა და გამწვანების სამუშაოები. (იხილეთ გენგემა)

სიტუაციური გეგმა და საქმიანობისათვის საჭირო ნაგებობებისა და მოწყობილობების სქემა მოცემულია ქვემოთ.

წარმოების ტექნოლოგიური სქემა



როგორც უკვე აღინიშნა, საწარმო პოლიეთილენის წყლის მილების წარმოებისათვის ნედლეულად იყენებს პოლიეთილენის პირველად გრანულებს.

საწარმოს წლიური წარმადობაა 280 კგ საათში, ანუ 672 ტ წელიწადში პროდუქციის გამოშვება.

საწარმოში დაიგეგმა ასევე პოლიეთილენის ნარჩენების (კოდეთ: 07 02 13; 15 01 02) შემოტანა, მისი გადამუშავება (გრანულების მიღება) და მისი ნაწილიდან პოლიეთილენის წყლის მილების წარმოება, ხოლო ნაწილის რეალიზაცია ნედლეულის სახით.

საწარმოში ამჟამად ორი დანადგარია (ორი ხაზი) ფუნქციონირებს, ერთი 120 კგ/სთ წამადობის და მეორე 160 კგ/სთ წარმადობის. ორივე დანადგარების წარმადობა 280 კგ/სთ-ია და მათში პირველადი გრანულების ბაზზაზე ხდება პოლიეთილენის წყლის მილების წარმოება.


პოლიეთილენის ნარჩენების გადამუშავებისათვის საწარმოში იგეგმება შესაბამისი დანადგარების შემოტანა, კერძოდ ნარჩენების დასაქუცმაცებელი წისქვილისა და გრანულატორის მონტაჟი შესაბამისი საჭირო ხაზით (გასარეცხი, საწნეხი, საშრობი).

ნარჩენი თავსდება ელევატორით წისქვილში (ნახ 1), რომლის წარმადობაა 100 კგ/სთ.

ძრავი 55 კვტ. წისქვილიდან ელევატორით დაფქული მასა ტრანსპორტიორით გადადის გამრეცხ დანადგარში (ნახ2) სადაც ხდება დაფქული მასის მექანიკური არევით რეცხვა ჩვეულებრივი წყლით (ნარეცხი წყალი ჩაიშვება ქალაქის ფეკალურ საკანალიზაციო ქსელში გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე).



ნახ.1.



- 1 ADET ÇIKIŞ HAZİNESİ
- 1 ADET ÇAMUR ALMA HELEZONU
- PALET SAYISI :3ADETT
- ANA MALZEME: ST37
- MAKİNA BOYU: 400CM
- MAKİNA ENİ: 150 CM
- MAKİNA YÜKSEKLİĞİ: 150CM
- HELEZON BOYU: 250CM

ნახ.2.

გარეცხილი სველი მასა გადადის დასაწნეხ დანადგარში (ნახაზი 3) სადაც ხდება დაქუცმაცებული მასის დაწნეხვა. აქედან დაწნეხილი სველი მასა ტრანსპორტიორით (ნახ 4) დადადის ეწ აკრომელის დანადგარში სადაც ხდება მასის თერმული დამუშავება 80-100 გრადუსამდე (ნახ 5) აქ სითბური ენერჯის წყარო ელექტრო ენერჯიაა. აქედან მასა გადადის საშრობში სადაც ხდება მასის შრობა ვენტილაციის პრინციპით(ნახ 6). აქედან დამუშავებული მასა გადადის გრანულაციის მანქანაში, სადაც მოხდება მისი თერმული დამუშავება 200 გრადუსამდე (ნახ. 7). დამუშავებული მასა გაივლის ე.წ.საცერს, რომლის შემდეგ მოხდება მისი დაჭრა გრანულებად. დაჭრილი გრანულები თავსდება ტომრებში და გადააქვთ შესანახად.



Бsb. 3.




Бsb. 4.



Бsb. 5.



ნახ. 6.



ნახ. 7.

სამქროში მოხდება საათში 100 კგ პოლიეთილენის ნარჩენის გადამუშავება და წელიწადში 8 საათიანი სამუშაო დღით და წელიწადში 300 სამუშაო დღით, 240 ტონა პოლიეთილენის გრანულის წარმოება და მისგან ასევე პოლიეთილენის წყლის მილების წარმოება.

ყოველი ერთი ტონა პოლიეთილენის ნარჩენების გადამუშავებისას გამოყენებული იქნება 3 მ³ წყალი, ანუ წელიწადში 720 მ³ წყალი, რომელის მიწოდება განხორციელდება ქ. ბათუმის წყალმომარაგების სისტემიდან, ხოლო გამოყენების შემდეგ ჩაშვებული იქნება ქ. ბათუმის საკანალიზაციო სისტემაში.

საწარმოს ტერიტორიის ძირიდან მისასვლელი გზა წარმოადგენს არსებული გზები, კერძოდ, საწარმოს ტერიტორიის ჩრდილოეთ მხარეს 100 მეტრში მდებარეობს სულხან-საბა ორბელიანის ქუჩა, ხოლო ჩხრდილო-აღმოსავლეთით 130 მეტრში პეტრე მელიქიშვილის ქუჩა.

საწარმოში წყალი ასევე გამოყენებული იქნება სამეურნეო-საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის. იქიდან გამომდინარე რომ საწარმოში ამჟამად დასაქმებულია 6 ადამიანი, ხოლო ნარჩენების გადამუშავების დანადგარების გაშვების შემდეგ დაემატება კიდევ 6 ადამიანი, ან სულ დასაქმებული იქნება სულ 12 ადამიანი, მისი წლიური ხარჯი არ აღემატება 162 მ³-ს. აღნიშნული წყლები ჩაედინება ხდება ქ. ბათუმის საკანალიზაციო სისტემაში.

გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედება შეიძლება გამოიხატოს: ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი მდგომარეობის გაუარესებით; ხმაურის გავრცელებით; ნიადაგის, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაბინძურებით; ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედებით; ნარჩენების მართვის პროცესში მოსალოდნელი ზემოქმედებით და სხვ.

სამქრო საქართველოში მომქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით აღჭურვილია ცეცხლმაქრებით, განთავებულია სახანძრო ინვენტარი და სხვა დღევანდელი კანონმდებლობით მოთხოვნილი სავალდებულო საშუალებები.

საწარმოში წარმოქმნილი ნარჩენების განთავსებისათვის დადგმულია ნაგვის ურნები დასტიკერებული სხვადასხვა ნარჩენებისთვის ინდივიდუალურად. საწოფაცხოვრებო

ნარჩენები განთავსდება შესაბამის ურნებში და მათი გატანა განხორციელდება ადგილობრივი მუნიციპალური შესაბამისი სამსახურის მიერ.

ხოლო რაც შეეხება სხვა სახის ნარჩენებს, როგორც სახიფათო (ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ჩვრები (მაქსიმუმ 5 კგ/წელ), ასევე არასახიფათო ნარჩენებს, ისინი კანონმდებლობის სრული დაცვით განთავსდება შესაბამის ურნებში, დროებით დასაწყვოდება და შემდგომში მართვისათვის გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციებს.

3. წყლის გამოყენება და ჩამდინარე წყლები

წყალი საწარმოში გამოიყენება სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის და საწარმოო მიზნებისათვის.

საყოფაცხოვრებო და საწარმოო მიზნებისათვის წყალს აღება განხორციელდება ადგილობრივი წყალმომარაგების სისტემიდან.

ყოველი ერთი ტონა პოლიეთილენის ნარჩენების გადამუშავებისას გამოყენებული იქნება 3 მ³ წყალი, ანუ წელიწადში 720 მ³ წყალი, რომელის მიწოდება განხორციელდება ქ. ბათუმის წყალმომარაგების სისტემიდან, ხოლო გამოყენების შემდეგ ჩაშვებული იქნება ქ. ბათუმის საკანალიზაციო სისტემაში.

ხოლო რაც შეეხება წყლის მიღების წარმოების ექსტრუდერში გაციების სისტემაში არსებულ წყალს, აქ ფაქტიურად ხდება აორთქლების სახით უმნიშვნელო დანაკარგი, რაც წელიწადში არ აღემატება 10 მ³-ს.

სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის წყალი გამოიყენება სანიტარულ კვანძებში მოსამსახურეთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის წყლის ხარჯი გაანგარიშებულია "კომუნალური წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემებით სარგებლობის წესების" მიხედვით (დამტკიცებულია საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრის 21.10.1998 წ., №81 ბრძანებით).

სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის წყლის რაოდენობას ვანგარიშობთ შემდეგი ფორმულით:

$$Q = (A \times N) \text{ მ}^3/\text{დღ-ში};$$

სადაც:

Q - დღელამეში სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის საჭირო წყლის ხარჯი;

A - მუშაკთა საერთო რაოდენობა დღელამის განმავლობაში, ჩვენ შემთხვევაში $A = 12$ მუშაკი;

ხოლო N- წყლის ნორმა სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის ერთ მუშაკზე დღის განმავლობაში, ჩვენ შემთხვევაში $N = 0.045$ მ³/დღ.;

აქედან გამომდინარე, დღე-ღამეში სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის საჭირო წყლის ხარჯი იქნება:

$$Q = (12 \times 0.045) = 0.54 \text{ მ}^3/\text{დღ-ში}, \text{ ხოლო წლიური რაოდენობა იქნება } 0.54 \times 300 = 162 \text{ მ}^3/\text{წელ-ში}.$$

4. საკანალიზაციო წყლების მართვა

როგორც ზემოთ დადგინდა გაანგარიშებით, სასმელი წყლის ხარჯი სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის შეადგენს:

$$Q = 0.54 \text{ მ}^3/\text{დღ-ში.}$$

სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების ხარჯს ვიღებთ მოხმარებული წყლის 90%-ს, შესაბამისად ჩამდინარე წყლების დღეღამური ხარჯი შეადგენს:

$$q = 0.54 \times 0.9 = 0.486 \text{ მ}^3/\text{დღ-ში, ანუ } 0.486 \times 300 = 145.8 \text{ მ}^3/\text{წელ.}$$

აღნიშნული წყლების ჩაედინება ხდება ქ. ბათუმის საკანალიზაციო სისტემაში.

საწარმოში სანიაღვრე წყლების პოტენციური დამაბინძურებელი წყაროები არ არსებობს, რადგან საწარმოო პროცესი მთლიანად მიმდინარეობს დახურულ შენობაში.

საწარმოო ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლები ჩაედინება ხდება ქ. ბათუმის სანიაღვრე სისტემაში.

5. ნარჩენების წარმოქმნა და მისი განკარგვა

სახიფათო ნარჩენები. საწარმოში შემდეგი სახისა და რაოდენობის სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა, კერძოდ მოსალოდნელია ძრავისა და კბილანური გადაცემის კოლოფის სინთეტიკური ზეთები და სხვა ზეთოვანი ლუბრიკანტების წარმოქმნა, რომლის წლიური რაოდენობა არ აღემატება 0.01 მ³-ს. მათი განთავსება მოხდება ობიექტის ტერიტორიაზე შესაბამისი ჰერმეტიკული კონტეინერი. სახიფათო ნარჩენის გატანა მოხდება შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიის მიერ, კერძოდ ობიექტის ოპერირების პროცესში წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების გატანას, ტრანსპორტირებას და თავის ტერიტორიაზე დამუშავებას უზრუნველყოს შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაცია.

არასახიფათო ნარჩენები. შერეული მუნიციპალური ნარჩენები, რომელთა წლიური რაოდენობა მოსალოდნელია 8.76 მ³-ის ოდენობით, რომლისათვის საწარმოს ტერიტორიაზე დადგმულია შესაბამისი კონტეინერი.

ნარჩენების გატანას და ტრანსპორტირებას განახორციელებს ადგილობრივი მინიციპალური სამსახური.

6. გარემოზე შესაძლო ზემოქმედება საწარმოს ექსპლოატაციის პროცესში

6.1. ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე.

საწარმოს საქმიანობის შედეგად ატმოსფეროში გამოიყოფა პოლიმერული მტვერი, ნახშირჟანგი და ძმარმჟავა.

ცხრილ-6.1.1-ში მოცემულია საწარმოში წარმოქმნილი მავნე ნივთიერებების კოდი, ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების მნიშვნელობები, გაფრქვევის სიმძლავრეები და საშიშროების კლასი.

ცხრილი 6.1.1.

მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები

მავნე ნივთიერების დასახელება	კოდი	ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია მგ/მ ³		საშიშროების კლასი
		მაქსიმალური ერთჯერადი	საშუალო დღე-ღამური	
1	2	3	4	5
პოლიმერული მტვერი	988	0.1	-	3
ნახშირჟანგი, CO	337	5.00	3.00	4
ძმარმჟავა	1555	0.2	0.06	3

საწარმოს ფუნქციონირებისას ატმოსფერული ჰაერში მავნე ნივთიერებების გამოყოფის წყაროები იქნება:

- 120 კგ/სთ წარმადობის პოლიეთილენის წყლის მილების წარმოების ექსტრუდერი - გამოყოფის #500 წყარო;
- 160 კგ/სთ წარმადობის პოლიეთილენის წყლის მილების წარმოების ექსტრუდერი - გამოყოფის #501 წყარო;
- 100 კგ/სთ წარმადობის პოლიეთილენის ნარჩენების დამაქუცმაცებელი დანადგარი - გამოყოფის #502 წყარო;
- 100 კგ/სთ წარმადობის გრანულატორი - გამოყოფის #503 წყარო;

საწარმოს ფუნქციონირების შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობის ანგარიში განხორციელდა დარგობრივი მეთოდის საფუძველზე ანგარიში შესრულებულია საწარმოს მაქსიმალური დატვირთვის პირობებისათვის.

საწარმოდან გამოყოფილი მავნე ნივთიერებების ინტენსივობების ანგარიში

გაფრქვევები წყლის მიღების საამქროს ექსტრუდერიდან

120 კგ/სთ წარმადობის პოლიეთილენის წყლის მიღების წარმოების ექსტრუდერი - გამოყოფის #500 წყარო:

პოლიეთილენის მიღების წარმოების ექსტრუდერიდან გამოიყოფა ნახშირბადის ოქსიდი და ძმარმჟავა (ეთანმჟავა).

ემისიის გაანგარიშებისათვის გამოიყენება ტექნოლოგიურ პროცესში გადასამუშავებელი მასალის საათური და წლიური ოდენობები. სტაციონარული წყაროებიდან ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები გაანგარიშებულია პროგრამით „пластмассы и полимеры“.

დამაბინძურებელ ნივთიერებათა ემისიის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები მოცემულია ცხრილში 6.1.1.

ცხრილი 6.1.1. დამაბინძურებელ ნივთიერებათა ემისიის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები

დამაბინძურებელი ნივთიერება		მაქსიმალური ემისია, გ/წმ	წლიური ემისია, ტ/წელ
კოდი	დასახელება		
337	ნახშირბადის ოქსიდი	0.00833	0.072
1555	ძმარმჟავა	0.01667	0.144

საწყისი მონაცემები დამაბინძურებელ ნივთიერებათა გამოყოფის გაანგარიშებისათვის მოცემულია ცხრილში 6.1.2.

ცხრილი 6.1.2. გაანგარიშების საწყისი მონაცემები

დასახელება	საანგარიშო პარამეტრი		
თერმოპლასტები, პოლიეთილენი და პოლიპროპილენი	დამაბინძურებელი ნივთიერების კუთრი გამოყოფა, Q_{yi}	ერთეული	მნიშვნელობა
	ძმარმჟავა	გ/კგ	0,5
	ნახშირბადის ოქსიდი	გ/კგ	0,25
მასალის მაქსიმალური ხარჯი B'		კგ/სთ	120
მასალის ჯამური წლიური ხარჯი B		კგ/წელ	288000

i -ური ნივთიერების მაქსიმალური გაფრქვევა განისაზღვრება ფორმულით:

$$M_i = Q_{yi} \cdot B' / 3600, \text{ გ/წმ}$$

სადაც: Q_{yi} გამოყოფის კუთრი მაჩვენებელი გადასამუშავებელი მასალის 1 კგ-დან (გ/კგ);

B' - გადასამუშავებელი მასალის მაქსიმალური ერთჯერადი ხარჯი მოწყობილობაზე (დანადგარზე), (კგ/სთ).

i -ური ნივთიერების ჯამური წლიური გაფრქვევა განისაზღვრება ფორმულით:

$$M_{\text{год } i} = Q_{\text{yд. } i} \cdot B \cdot 10^{-6}, \text{ ტ/წელ}$$

სადაც: $Q_{\text{yд. } i}$ გამოყოფის კუთრი მაჩვენებელი გადასამუშავებელი მასალის 1 კგ-დან (გ/კგ);

B - გადასამუშავებელი მასალის ჯამური წლიური ხარჯი (კგ/წელ).

განგარიშება მაქსიმალური ერთჯერადი და წლიური გამოყოფა დამაბინძურებელი ნივთიერებების ატმოსფეროში მოყვანილია ქვემოთ.

მილების ექსტრუზია, პოლიეთილენი

1555. ძმარმჟავა

$$M = 0.5 \cdot 120 / 3600 = 0.01667 \text{ გ/წმ};$$

$$G_{\text{წლ}} = 0.5 \cdot 288000 \cdot 10^{-6} = 0.144 \text{ ტ/წელ}.$$

337. ნახშირბადი ოქსიდი

$$M = 0.25 \cdot 120 / 3600 = 0.00833 \text{ გ/წმ};$$

$$G_{\text{წლ}} = 0.25 \cdot 288000 \cdot 10^{-6} = 0.072 \text{ ტ/წელ}.$$

160 კვ/სთ წარმადობის პოლიეთილენის წყლის მილების წარმოების ექსტრუდერი - გამოყოფის #501 წყარო:

პოლიეთილენის მილების წარმოების ექსტრუდერიდან გამოიყოფა ნახშირბადის ოქსიდი და ძმარმჟავა (ეთანმჟავა).

ემისიის განგარიშებისათვის გამოიყენება ტექნოლოგიურ პროცესში გადასამუშავებელი მასალის საათური და წლიური ოდენობები. სტაციონარული წყაროებიდან ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები განგარიშებულია პროგრამით „пластмассы и полимеры“.

დამაბინძურებელ ნივთიერებათა ემისიის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები მოცემულია ცხრილში 6.1.3.

ცხრილი 6.1.3. დამაბინძურებელ ნივთიერებათა ემისიის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები

დამაბინძურებელი ნივთიერება		მაქსიმალური ემისია, გ/წმ	წლიური ემისია, ტ/წელ
კოდი	დასახელება		
337	ნახშირბადის ოქსიდი	0.01111	0.096
1555	ძმარმჟავა	0.02222	0.192

საწყისი მონაცემები დამაბინძურებელ ნივთიერებათა გამოყოფის განგარიშებისათვის მოცემულია ცხრილში 6.1.4.

ცხრილი 6.1.4. გაანგარიშების საწყისი მონაცემები

დასახელება	საანგარიშო პარამეტრი		
თერმოპლასტები, პოლიეთილენი და პოლიპროპილენი	დამაბინძურებელი ნივთიერების კუთრი გამოყოფა, $Q_{yд}$	ერთეული	მნიშვნელობა
	ძმარმჟავა	გ/კგ	0,5
	ნახშირბადის ოქსიდი	გ/კგ	0,25
მასალის მაქსიმალური ხარჯი B'		კგ/სთ	160
მასალის ჯამური წლიური ხარჯი B		კგ/წელ	384000

i -ური ნივთიერების მაქსიმალური გაფრქვევა განისაზღვრება ფორმულით:

$$M_i = Q_{yд.i} \cdot B' / 3600, \text{ გ/წმ}$$

სადაც: $Q_{yд.i}$ გამოყოფის კუთრი მაჩვენებელი გადასამუშავებელი მასალის 1 კგ-დან (გ/კგ);

B' - გადასამუშავებელი მასალის მაქსიმალური ერთჯერადი ხარჯი მოწყობილობაზე (დანადგარზე), (კგ/სთ).

i -ური ნივთიერების ჯამური წლიური გაფრქვევა განისაზღვრება ფორმულით:

$$M_{год.i} = Q_{yд.i} \cdot B \cdot 10^{-6}, \text{ ტ/წელ}$$

სადაც: $Q_{yд.i}$ გამოყოფის კუთრი მაჩვენებელი გადასამუშავებელი მასალის 1 კგ-დან (გ/კგ);

B - გადასამუშავებელი მასალის ჯამური წლიური ხარჯი (კგ/წელ).

გაანგარიშება მაქსიმალური ერთჯერადი და წლიური გამოყოფა დამაბინძურებელი ნივთიერებების ატმოსფეროში მოყვანილია ქვემოთ.

მიღების ექსტრუზია, პოლიეთილენი

1555. ძმარმჟავა

$$M = 0.5 \cdot 160 / 3600 = 0.02222 \text{ გ/წმ};$$

$$G_{წლ} = 0.5 \cdot 384000 \cdot 10^{-6} = 0.192 \text{ ტ/წელ}.$$

337. ნახშირბადი ოქსიდი

$$M = 0.25 \cdot 160 / 3600 = 0.01111 \text{ გ/წმ};$$

$$G_{წლ} = 0.25 \cdot 384000 \cdot 10^{-6} = 0.096 \text{ ტ/წელ}.$$

100 კგ/სთ წარმადობის პოლიეთილენის ნარჩენების დამაქუცმაცებელი დანადგარი - გამოყოფის #502 წყარო:

პლასტიკური ნაწარმის წარმოება მოიცავს ტექნოლოგიურ პროცესებს, რომლის დროსაც ატმოსფერულ ჰაერში გამოიყოფა პლასტიკური ნაწარმის ნაწილობრივი დესტრუქციის შედეგად აირად ფაზაში არსებული დამაბინძურებელი ნივთიერებები, კერძოდ, პოლიმერული მტვერი. საწარმოს პოლიეთილენის ნარჩენების დაქუცმაცებისათვის გააჩნია წისქვილი 100 კგ/სთ-ში წარმადობის.

ემისიის გაანგარიშებისათვის გამოიყენება ტექნოლოგიურ პროცესში გადასამუშავებელი მასალის საათური და წლიური ოდენობები.

გაანგარიშება შესრულებულია პროგრამით „пластмассы и полимеры“ .

დამაბინძურებელ ნივთიერებათა ემისიის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები მოცემულია ცხრილში 6.1.5.

ცხრილი 6.1.5. დამაბინძურებელ ნივთიერებათა ემისიის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები

დამაბინძურებელი ნივთიერება		მაქსიმალური ემისია, გ/წმ	წლიური ემისია, ტ/წელ
კოდი	დასახელება		
988	პოლიმერული მტვერი	0.019444	0.168

საწყისი მონაცემები დამაბინძურებელ ნივთიერებათა გამოყოფის გაანგარიშებისათვის მოცემულია ცხრილში 6.1.6.

ცხრილი 6.1.6. გაანგარიშების საწყისი მონაცემები

დასახელება	საანგარიშო პარამეტრი		
თერმოპლასტები, პოლიეთილენი და პოლიპროპილენი	დამაბინძურებელი ნივთიერების კუთრი გამოყოფა, $Q_{y,i}$	ერთეული	მნიშვნელობა
	შეწონილი ნაწილაკები	გ/კგ	0,7
მასალის მაქსიმალური ხარჯი B'		კგ/სთ	100.0
მასალის ჯამური წლიური ხარჯი B		კგ/წელ	240000

i -ური ნივთიერების მაქსიმალური გაფრქვევა განისაზღვრება ფორმულით:

$$M_i = Q_{y,i} \cdot B' / 3600, \text{ გ/წმ}$$

სადაც: $Q_{y,i}$ გამოყოფის კუთრი მაჩვენებელი გადასამუშავებელი მასალის 1 კგ-დან (გ/კგ);

B' - გადასამუშავებელი მასალის მაქსიმალური ერთჯერადი ხარჯი მოწყობილობაზე (დანადგარზე), (კგ/სთ).

i -ური ნივთიერების ჯამური წლიური გაფრქვევა განისაზღვრება ფორმულით:

$$G_{\text{თი } i} = Q_{y,i} \cdot B \cdot 10^{-6}, \text{ ტ/წელ}$$

სადაც: $Q_{y,i}$ გამოყოფის კუთრი მაჩვენებელი გადასამუშავებელი მასალის 1 კგ-დან (გ/კგ);

B - გადასამუშავებელი მასალის ჯამური წლიური ხარჯი (კგ/წელ).

გაანგარიშება მაქსიმალური ერთჯერადი და წლიური გამოყოფა დამაბინძურებელი ნივთიერებების ატმოსფეროში მოყვანილია ქვემოთ.

988. პოლიმერული მტვერი

$$M = 0.7 \cdot 100 / 3600 = 0.019444 \text{ გ/წმ};$$

$$G_{\text{წლ}} = 0.7 \cdot 240000 \cdot 10^{-6} = 0.168 \text{ ტ/წელ}.$$

იმ შემთხვევებში, როდესაც ტექნოლოგიური პროცესები ხორციელდება ისეთ შენობებში, რომლებიც არ არის აღჭურვილნი საერთოგაცვლითი ვენტილაციით (გაფრქვევები ხდება ფანჯრების და კარების ღიობებიდან) და რომლებშიც მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროებს არ გააჩნიათ ადგილობრივი გაწოვის სისტემები, აგრეთვე იმ შემთხვევებში, როდესაც მოწყობილობების მუშაობა მიმდინარეობს ღია ცის ქვეშ, მყარი ნაწილაკების გაფრქვევების გაანგარიშებისას რეკომენდირებულია გამოყენებულ იქნას ამ გაფრქვევების მნიშვნელობების შემასწორებელი მტვრის დალექვის მახასიათებელი კოეფიციენტები, კერძოდ:

- ხის და ლითონის მტვრისთვის - 0,2; - სხვა მყარი ნაწილაკებისთვის - 0,4“. ამის გათვალისწინებით გაანგარიშებული ემისია მოცემულია ცხრილში 6.1.7.

ცხრილი 6.1.7.

კოდი	ნივთიერების დასახელება	მასა (გ/წმ)	მასა (ტ/წელ)
988	პოლიმერული მტვერი	0.019444	0.168

100 კგ/სთ წარმადობის გრანულატორი - გამოყოფის #503 წყარო;

პოლიეთილენის გრანულატორის ფუნქციონირება მოიცავს ტექნოლოგიურ პროცესებს, რომლის დროსაც ატმოსფერულ ჰაერში გამოიყოფა პლასტიკური ნაწარმის ნაწილობრივი დესტრუქციის შედეგად აირად ფაზაში არსებული დამაბინძურებელი ნივთიერებები, კერძოდ, ნახშირბადის ოქსიდი და ძმარმჟავა (ეთანმჟავა).

ემისიის გაანგარიშებისათვის გამოიყენება ტექნოლოგიურ პროცესში გადასამუშავებელი მასალის საათური და წლიური ოდენობები. სტაციონარული წყაროებიდან ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები გაანგარიშებულია პროგრამით „пластмассы и полимеры“.

დამაბინძურებელ ნივთიერებათა ემისიის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები მოცემულია ცხრილში 6.1.8.

ცხრილი 6.1.8. დამაბინძურებელ ნივთიერებათა ემისიის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები

დამაბინძურებელი ნივთიერება		მაქსიმალური ემისია, გ/წმ	წლიური ემისია, ტ/წელ
კოდი	დასახელება		
337	ნახშირბადის ოქსიდი	0.00556	0.048
1555	ძმარმჟავა	0.00833	0.072

საწყისი მონაცემები დამაბინძურებელ ნივთიერებათა გამოყოფის გაანგარიშებისათვის მოცემულია ცხრილში 6.1.9.

ცხრილი 6.1.9. გაანგარიშების საწყისი მონაცემები

დასახელება	საანგარიშო პარამეტრი		
თერმოპლასტები, პოლიეთილენი და პოლიპროპილენი	დამაბინძურებელი ნივთიერების კუთრი გამოყოფა, Q_{yA}	ერთეული	მნიშვნელობა
	ძმარმჟავა	გ/კგ	0.3
	ნახშირბადის ოქსიდი	გ/კგ	0.2
მასალის მაქსიმალური ხარჯი B'		კგ/სთ	100
მასალის ჯამური წლიური ხარჯი B		კგ/წელ	240000

i -ური ნივთიერების მაქსიმალური გაფრქვევა განისაზღვრება ფორმულით:

$$M_i = Q_{yA,i} \cdot B' / 3600, \text{ გ/წმ}$$

სადაც: $Q_{yA,i}$ გამოყოფის კუთრი მაჩვენებელი გადასამუშავებელი მასალის 1 კგ-დან (გ/კგ);

B' - გადასამუშავებელი მასალის მაქსიმალური ერთჯერადი ხარჯი მოწყობილობაზე (დანადგარზე), (კგ/სთ).

i -ური ნივთიერების ჯამური წლიური გაფრქვევა განისაზღვრება ფორმულით:

$$M_{\text{გოდი}} = Q_{yA,i} \cdot B \cdot 10^{-6}, \text{ ტ/წელ}$$

სადაც: $Q_{yA,i}$ გამოყოფის კუთრი მაჩვენებელი გადასამუშავებელი მასალის 1 კგ-დან (გ/კგ);

B - გადასამუშავებელი მასალის ჯამური წლიური ხარჯი (კგ/წელ).

გაანგარიშება მაქსიმალური ერთჯერადი და წლიური გამოყოფა დამაბინძურებელი ნივთიერებების ატმოსფეროში მოყვანილია ქვემოთ.

გრანულატორი, პოლიეთილენი

1555. ძმარმჟავა

$$M = 0.3 \cdot 100 / 3600 = 0.00833 \text{ გ/წმ};$$

$$G_{\text{წელ}} = 0.3 \cdot 240000 \cdot 10^{-6} = 0.072 \text{ ტ/წელ}.$$

337. ნახშირბადი ოქსიდი

$$M = 0.2 \cdot 100 / 3600 = 0.00556 \text{ გ/წმ};$$

$$G_{\text{წელ}} = 0.2 \cdot 240000 \cdot 10^{-6} = 0.048 \text{ ტ/წელ}.$$

წყლის მიღების წარმოების საამქროს დამაქუცმაცებელის, გრანულატორის და ექსტრუდერის მიერ გამოყოფილი დამაბინძურებელი ნივთიერებები გაიფრქვევა საამქროს ღიობებიდან, რომელთა ჯამური გაფრქვევების სიდიდეები მოცემულია ცხრილ 6.1.10-ში

ცხრილი 6.1.10. დამაბინძურებელ ნივთიერებათა ემისიის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები

დამაბინძურებელი ნივთიერება		მაქსიმალური ემისია, გ/წმ	წლიური ემისია, ტ/წელ
კოდი	დასახელება		
337	ნახშირბადის ოქსიდი	0.00556	0.048
1555	ძმარმჟავა	0.00833	0.072

სულ ჯამური გაფრქვევის ინტესივობები, რომელიც ხორციელდება შენობის ღიობებიდან, ტოლი იქნება:

988. პოლიმერული მტვერი

$M = 0.019444$ გ/წმ; $G_{წლ} = 0.168$ ტ/წელ.

1555. ძმარმჟავა

$M = 0.04722$ გ/წმ; $G_{წლ} = 0.408$ ტ/წელ.

337. ნახშირბადი ოქსიდი

$M = 0.0250$ გ/წმ; $G_{წლ} = 0.216$ ტ/წელ.

ელექტროგამომთვლელ მანქანაზე გაბნევის გაანგარიშების შედეგების ანალიზი

საკვლევი ტერიტორიის ატმოსფერული ჰაერის ფონური დაბინძურების შეფასებისათვის, საჭიროა გამოყენებულ იქნას საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №408 დადგენილების (ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების გაანგარიშების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე) მე-5 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული რეკომენდაციები.

გამომდინარე აღნიშნულიდან, საკვლევი ტერიტორიის ატმოსფერული ჰაერის ფონური დაბინძურების შეფასებისათვის, საჭიროა გამოყენებულ იქნას საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №408 დადგენილების (ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების გაანგარიშების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე) მე-5 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული რეკომენდაციები.

რადგან ქ. ბათუმის მოსახლეობა აღემატება 125 ათასს, ამიტომ ფონურ მაჩვენებლად აღებული უნდა იყოს ცხრილი 6.1.11-ის 125-250 ათასი მოსახლეობის მაჩვენებლები.

ფონური კონცენტრაციებისათვის დადგენილი მნიშვნელობები დასახლებული ტერიტორიებისათვის მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით

მოსახლეობის რიცხვი (ათასი მოსახლე)	მავნე ნივთიერება			
	მტვერი	გოგირდის დიოქსიდი	აზოტის დიოქსიდი	ნახშირჟანგი
1	2	3	4	5
ნაკლები 10-ზე	0	0	0	0
10-50	0.1	0.02	0.008	0.4
50-125	0.15	0.05	0.015	0.8
125-250	0,2	0.05	0.03	1.5

ასევე, რადგან ქ. ბათუმი წარმოადგენს საკურორტო ქალაქს, ამიტომ მავნე ნივთიერებების მიწისპირა კონცენტრაციების მნიშვნელობები არ უნდა აღემატებოდეს 0.8 ზღვ-ს.

რადგან უახლოესი დასახლებული პუნქტი საწარმოდან პირდაპირი მანძილი უახლოეს მოსახლემდე საწარმოო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან შეადგენს 70 მ-ს, ამიტომ გაანგარიშებული ემისიების შესაბამისად, ჰაერის ხარისხის მოდელირება შესრულდება ობიექტის წყაროებიდან შემდეგი საკონტროლო წერტილების მიმართ, კერძოდ შემდეგ წერილის კოორდინატებზე: (70; 0); (0; -70); (0; 70); (-70; 0).

აღნიშნული შედეგები მოცემულია ცხრილ 6.1.12-ში

მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის ძირითადი შედეგები

მავნე ნივთიერებათა დასახელება	მავნე ნივთიერებათა ზღვ-ის წილი ობიექტიდან			
	უახლოეს დასახლებული პუნქტის კოორდინატები			
	(70; 0)	(0; -70)	(-70; 0)	(0; 70)
1	2	3	4	5
პოლიმერული მტვერი მტვერი	0.06 ზღვ	0.06 ზღვ	0.06 ზღვ	0.06 ზღვ
ძმარმჟავა	0.75 ზღვ	0.75 ზღვ	0.75 ზღვ	0.75 ზღვ
ნახშირჟანგი	0.31 ზღვ	0.31 ზღვ	0.31 ზღვ	0.31 ზღვ

როგორც ცხრილი 6.1.12-დან მავნე ნივთიერებების მიწისპირა კონცენტრაციების მნიშვნელობები უახლოეს დასახლებულ პუნქტთან, რომელიც საწარმოო შენობიდან დაშორებულია 70 მეტრი მანძილით, არ აჭარბებს დასაშვებ ნორმებს ქ. ბათუმზე, როგორც საკურორტო ქალაქზე, დადგენილ მიწისპირა კონცენტრაციების მნიშვნელობებზე, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 0.8 ზღვ-ს.

6.2 ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება

საწარმოს მუშაობის პროცესს თან სდევს ხმაურის წარმოქმნა და გავრცელება, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს გარემოზე და ადამიანებზე. საწარმოს

ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის წყაროს წარმოადგენენ ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული დანადგარ-მექანიზმები (სამსხვრევი, ცხაური, ტრანსპორტიორები და სხვ.).

საწარმოში დამონტაჟებული დანადგარებიდან ხმაურის უმთავრეს წყაროს წარმოადგენს პოლიეთილენის ნარჩენების დამაქუცმაცებელი წისქვილი, რომლის ხმაურის დონე არ აღემატება 85 დეციბელს. მაშინ ხმაურის ჯამური დონე კუმულაციური ზემოქმედების გათვალისწინებით იქნება:

$$L_j = 85 + 10 \lg n = 90 \text{ დბ.}$$

საწარმოს ტერიტორიიდან r – მანძილისათვის ბგერითი სიმძლავრის დონეების სიდიდეები ხმაურის დამცავი საშუალებების გარეშე მოცემულია. ცხრილ 6.1-ში .

ცხრილი 6.1.

ბგერითი სიმძლავრის დონეები

ოქტავიური ზოლების საშუალო გეომეტრიული	ბგერითი წნევის დონეები დეციბალებში, საწარმოდან r მანძილზე (მ)								
	20	30	40	50	60	70	80	90	100
63	55,98	52,46	49,96	48,02	46,44	45,10	43,94	42,92	42,00
125	55,97	52,44	49,93	47,99	46,39	45,05	43,88	42,85	41,93
250	55,95	52,41	49,90	47,95	46,35	44,99	43,82	42,78	41,85
500	55,92	52,37	49,84	47,87	46,26	44,89	43,70	42,65	41,70
1000	55,86	52,28	49,72	47,72	46,08	44,68	43,46	42,38	41,40
2000	55,74	52,10	49,48	47,42	45,72	44,26	42,98	0,00	0,00
4000	55,50	51,74	49,00	46,82	45,00	0,00	0,00	0,00	0,00
8000	55,02	51,02	48,04	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00

გარდა ამისა ბგერის გავრცელების სიჩქარე დამოკიდებულია ჰაერის ტემპერატურასა და ქარის სიჩქარეზე, ხოლო ბგერის ჩახშობა განისაზღვრება ადგილის რელიეფით და ჰაერის ტენიანობით. ყოველივე აღნიშნული გათვალისწინებული იქნება აკუსტიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებების შემუშავების დროს.

როგორც ცხრილი 6.1-დან ჩანს, ხმაურის დონე საწარმოდან 40 მეტრში ნორმაზე ნაკლებია დღის საათებისათვის, მით უმეტეს 70 მეტრ მანძილზე, რომლის მნიშვნელობა ტოლია 45.1 დბ, ხოლო დასაშვები ნორმა დღის საათებისათვის ტოლია 50 დბ-ის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საწარმოს მუშაობა დაგეგმილია მხოლოდ დღის საათებში.

აქვე თუ გავითვალისწინებთ, რომ საწარმოო დანადგარები განთავსებულია დახურულ შენობაში, მისი დონე საგრძნობლად იქნება შემცირებული. ამრიგად საწარმოს განთავსების ადგილისა და მისგან მოსახლეობის დაშორების გათვალისწინებით ხმაურის ზემოქმედება დასაშვებ ნორმებს არ გადააჭარბებს.

6.3 ზემოქმედება ნიადაგის და გრუნტის ხარისხზე

ნიადაგი რთული შედგენილობის ფაქიზი სისტემაა, რომელიც ძალზე მგრძობიარეა ეგზოგენური ნივთიერებების მიმართ. მისი თავისებურებაა ტექნოგენური ნივთიერებების კონცენტრირება და ფიქსაცია. ნიადაგში მოხვედრილი ნივთიერებების დიდი ნაწილი სორბციის გამო გადადიან უძრავ ფორმაში. ნორმირებული ნივთიერებების გავლენით იცვლება ნიადაგის ბუნება, დეგრადირდება მიკროფლორა და ნელდება მცენარის განვითარება. აღნიშნული საქმიანობის სპეციფიკაციის გამო ძირითად დამაბინძურებელ

ფაქტორს წარმოადგენს ნაღველების უკონტროლო მართვა და ავტოტრანსპორტიდან ზეთებია ან საწვავის ავარიული დაღვრა და მათი ნიადაგში მოხვედრა.

ნარჩენების მართვის წესების დარღვევა უარყოფით გავლენას ახდენს გარემოს სხვადასხვა რეცეპტორებზე, როგორც არის: ნიადაგის საფარი, მიწისქვეშა წყლები, მცენარეული საფარი. შესაბამისად, აღნიშნული საქმიანობით ბუნების სხვადასხვა რეცეპტორებზე ზეგავლენის თავიდან ასარიდებლად, მნიშვნელოვანია კომპანიამ უზრუნველყოს ნარჩენების მართვა კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნებით.

ნავთობპროდუქტების ნიადაგში მოხვედრა პირველ რიგში იწვევს მასში ჟანგბადის განახლების შეფერხებას და მიკროფლორის განადგურებას. აღნიშნულის შედეგად მცირდება ნიადაგის ბუნებრივი გაფხვიერების ხარისხი და ჰუმუსის ფენა კარგავს ნაყოფიერებას. მეორეს მხრივ შესაძლებელია ნავთობპროდუქტების მცენარეებში მოხვედრა, რაც თავის მხრივ მცენარეული საფარის მომხმარებელ სხვა რეცეპტორებზე ახდენს მავნე ზეგავლენას.

საწარმოო ტერიტორიის ფარგლებში პრაქტიკულად ნიადაგის ნაყოფიერი ფენა არ არსებობს, საწარმოო მთელი პროცესი მიმდინარეობს დახურულ შენობაში.

საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში ნიადაგის/გრუნტის ხარისხის გაუარესების რისკები შიძლება გამოიწვიოს:

- საწარმოო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის წესების დარღვევა;
- ავტოტრანსპორტიდან ნავთობპროდუქტების ავარიული დაღვრა;
- მოძველებული და ამორტიზებული საწარმოო-სანიაღვრე შიდა კანალიზაციის სისტემების ექსპლუატაცია;

ნიადაგის და გრუნტების დაბინძურების რისკები მინიმუმამდეა დაყვანილი, რადგან საწარმოო მთელი პროცესი მიმდინარეობს დახურულ შენობაში, რომლის იატაკი მობეტონებულია, ამიტომ ნიადაგის დაბინძურების რისკ-ფაქტორები პრაქტიკულად არარსებობს.

